



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 61

31/05/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. განისაზღვროს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული 2018 წლის მაისის თვეში ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. უზრუნველყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს წევრთა საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების დარიცხვა ამ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მიხედვით და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი“-ს შესაბამისად.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი. წერტილის ქ. №7) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

ნ. ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო